# ERGNETI

# SECURING THE FUTURE

## ერგნეთი: უზრუნველყოფილი მომავალი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office
for the South Caucasus

2011-2015

DANISH REFUGEE COUNCIL

## ACKNOWLEDGEMENTS:

**DRC** wishes to thank the people and agencies below, without whom this project would not have been possible:

Swiss Federal Department of Foreign Affairs (FDFA)

State Ministry for Reconcilliation and Civil Equality of Georgia

The Governor of Shida-Kartli

The Mayor of Gori

The People of Ergneti

Georgian Amelioration Ltd.

The publication is made possible with the financial support of the **Swiss Cooperation Office for the South Caucasus (SCO).**

Number of copies: 200


© DRC 2015

Published by **Colorado Printing Tbilisi**

Photographer / ფოტოგრაფი
Gia Chkhatarashvili

Author / ავტორი
Laura Grineviciute

# ERGNETI

## SECURING THE FUTURE

## ერგნეთი: უზრუნველყოფილი მომავალი

# FOREWORD

The 2008 August conflict between Georgia and Russia over the break-away Tskhinvali Region/South Ossetia had, among others, a severe impact on bordering villages of the Shida Kartli region. Most of the villagers, who fled the area in the early days of the conflict, could only return after the military activities ceased and troops withdrew. A large number of the displaced Georgian population were unable to return or have limited access to their houses and lands still today.

Families that returned found their villages shattered by the hostilities: destroyed houses and public infrastructure, looted assets and livestock stolen or killed. Due to the separation of the territory into two government regimes, access to arable land, orchards, pastures as well as markets was substantially reduced.

Ergneti was one of the most adversely affected villages in Shida Kartli, both in terms of infrastructure damage and destroyed livelihood opportunities. More than half of the village houses were destroyed by the war.

The Humanitarian Aid (HA) unit of the Swiss Agency for Development and Cooperation (SDC) responded swiftly to the pledge of the Georgian Government to help address the plight of the Ergneti residents after the conflict. SDC, through its partner organisation, the Danish Refugee Council (DRC), initiated and funded the project "Rebuilding Returnees' Housing and Livelihoods in Ergneti (Shida Kartli)".

The ambitious goal of reducing the vulnerability of the war affected returnee families in Ergneti village was formulated by supporting their sustainable return and reintegration. From 2011-2015 a total budget of CHF 2'627'000 has been allocated for this purpose.

In hindsight, after looking at the project's accomplishments, we at SDC are very proud to see Ergneti village revived with families returning and settling back in their houses, cultivating the land and starting to earn incomes. The repaired irrigation system has also contributed to the sustainability and durability of the return.

Swiss Humanitarian Aid will, after more than a decade in Georgia withdraw from the South Caucasus by the end of 2016. This photo book has been produced by the project partners and, while it depicts only one of HA's projects amid many funded interventions over the years, it echos our worldwide principles of enhancing human security and protection of vulnerable persons, especially those affected by conflicts and natural disasters, in the best way.

Rudolf Schoch,
Regional Director,
Swiss Cooperation Office South Caucasus, Embassy of Switzerland

---

რუსეთსა და საქართველოს შორის ცხინვალის რეგიონის/სამხრეთის ოსეთის თაობაზე 2008 წლის აგვისტოს ომმა შიდა ქართლის მოსაზღვრე სოფლებს მძიმე ზიანი მიაყენა. შეიარაღებული კონფლიქტის პირველ დღეებში მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლების უმრავლესობას მოუხდა სახლ-კარის დატოვება. დაბრუნება კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ შეტაკებების დასრულებისა და სამხედრო ძალების გაყვანის შემდეგ. იძულებით გადაადგილებული ქართული მოსახლეობის დიდ ნაწილს დღემდე შეზღუდული აქვს ან საერთოდ არა აქვს წვდომა თავიანთ საკუთარ სახლებსა თუ მიწაზე.

დაბრუნებულ ოჯახებს საომარი მოქმედებების შედეგად მთლიანად შეცვლილი სოფლები დახვდათ: დაზიანებული ან მთლიანად განადგურებული კერძო და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, გაძარცული სახლები და გამქრალი ან დახოცილი შინაური ცხოველები. ტერიტორიის ორ ადმინისტრაციად გაყოფამ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, საძოვრების, ხეხილის ბაღებისა და ბაზრების მნიშვნელოვნად შემცირება გამოიწვია.

ერგნეთი შიდა ქართლის ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული სოფელია, როგორც დაზიანებული ინფრასტრუქტურის, ასევე შემოსავლის გაჩენის მწირი შესაძლებლობების თვალსაზრისით. სოფელში სახლების ნახევარზე მეტი განადგურდა ომის შედეგად.

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ჰუმანიტარული დახმარების ოფისი უმალვე გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის თხოვნას დახმარება გაეწია ერგნეთის დაზარალებული მოსახლეობისსათვის. SDC-მ, ლტოლვილთა დანიის საბჭოსთან (DRC) პარტნიორობით, წამოიწყო და სრულად დააფინანსა პროექტი „ერგნეთში (შიდა ქართლი) დაბრუნებულთა საცხოვრებლებისა და შემოსავლის წყაროს აღდგენა.“ პროექტის შორსმხედველი მიზანი შეგვემცირებინა ერგნეთის ომის შედეგად დაზარალებული დაბრუნებული ოჯახების მოწყვლადობა მიღწეულ იქნა მათი მდგრადი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის გზით. პროექტი განხორციელდა 2011-2015 წლებში, და მისი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 2'627'000 შვეიცარიულ ფრანკს.

დღევანდელი გადმოსახედიდან, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო სიამაყით ადევნებს თვალს ერგნეთის აღორძინებას: ოჯახები ბრუნდებიან სოფელში, სახლდებიან, ამუშავებენ მიწას და უჩნდებათ შემოსავალი. განახლებულმა საირიგაციო სისტემამ კიდევ უფრო მდგრადი და შეუქცევადი გახადა ეს პროცესი.

2016 წლის ბოლოს SDC-ს ჰუმანიტარული დახმარების ოფისი დაასრულებს ათწლეულზე მეტხნიან მოღვაწეობას საქართველოში. მოცემული ფოტო-ალბომი, ლტოლვილთა დანიის საბჭოსთან ერთად, სწორედ ჩვენი საქმიანობის ნიშნად მომზადდა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პუბლიკაცია ჰუმანიტარული დახმარების ოფისის მიერ წლების განმავლობაში დაფინანსებულ მრავალ პროექტთაგან მხოლოდ ერთ-ერთს ასახავს, ის საუკეთესოდ ეხმიანება ადამიანის უსაფრთხოების გაძლიერებისა და მოწყვლადი მოსახლეობის, განსაკუთრებით კონფლიქტებითა და ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული ჯგუფების, დაცვის უნივერსალურ პრინციპებს.

This photo book brings you portraits and human stories of people whose lives were positively impacted as a result of the completion of the SDC-funded 'Rebuilding Returnee's Housing and Livelihoods in Ergneti (Shida Kartli)' project.

It demonstrates how a successful partnership between donor, implementing partner, community, contractors and Government can support the renewal of a war devastated area and bring new life to a village on the verge of extinction.

Ergneti, a small village of around 200 households, is located in the Shida-Kartli region of Georgia in the immediate vicinity of the Administrative Boundary Line (ABL) with South Ossetia and its capital Tskhinvali.

As a result of the 2008 Georgian-Russian war, more than half of the village's houses were destroyed and nearly all families lost their livelihoods. With Swiss Government support, Danish Refugee Council rehabilitated severely damaged houses and restored livelihood opportunities for the war-affected community.

Today, I am particularly proud of the project's achievements. Within three years, 111 houses were rehabilitated impacting more than 400 beneficiaries. 72 agricultural, service, production and other businesses were supported through small grants impacting 300 beneficiaries and increasing their income by an average of 54%. 40 self-reliance grants were provided to the most vulnerable residents thus ensuring their food security.

Last, but not least, the project addressed the problem of a lack of irrigation. SDC/DRC, in partnership with Georgian Amelioration LTD provided irrigation for up to 150 hectares of agricultural land thus opening up agri-business potential.

While results are tangible, much more remains to be done if Georgia is to reach its goal of economic development, positively impacting the region and beyond. It is the aim of all of us at DRC to continue working closely with donors, civil society, Government institutions, IDPs, returnees and host communities to support the most vulnerable in Georgia. To succeed, we will continue our focus on housing, livelihoods, protection, legal support, outreach to the most vulnerable and technical assistance.

Svend Monrad Graunboel,
DRC Country Director for
Georgia and South Caucasus

---

წინამდებარე ფოტოალბომი წარმოგიდგენთ იმ ადამიანების პორტრეტებსა და ისტორიებს, რომელთა ცხოვრებაზე შვეიცარიის განვითარების და თანამშრომობის სააგენტოს მიერ დაფინანსებულმა პროექტმა „სახლების შეკეთება და საარსებო პირობების შექმნა სოფელ ერგნეთში დაბრუნებული მოსახლეობისათვის", დადებითი გავლენა იქონია.

პროექტი აჩვენებს როგორ შეიძლება მიანიჭოს ახალი სიცოცხლე დაცლის პირას მყოფ სოფელს დონორის, განმახორციელებელი პარტნიორის, თემის, კონტრაქტორებისა და მთავრობის წარმომადგენელთა წარმატებულმა თანამშრომლობამ.

შიდა ქართლის რეგიონში, სოფელ ერგნეთში 200 ოჯახი ცხოვრობს. სოფელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვართან და ქალაქ ცხინვალთან ახლოს მდებარეობს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, სოფელში სახლების ნახევარზე მეტი განადგურდა, თითქმის ყველა ოჯახმა შემოსავლის წყარო დაკარგა. შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით, ლტოლვილთა დანიის საბჭომ განახორციელა მნიშვნელოვნად დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია და ომით დაზარალებულ თემს საარსებო წყაროების ხელახლა მოძიების საშუალება მისცა.

მოცემული პროექტის მიღწევებით ვამაყობ. სამ წელიწადში მოხერხდა 111 სახლის რეაბილიტაცია, რაც 400-ზე მეტ ადამიანს დაეხმარა. მცირე გრანტების საშუალებით მხარდაჭერილ იქნა 72 ბიზნესი, რომელიც მუშაობს სასოფლო სამეურნეო, მომსახურების, წარმოების სფეროებში, რითაც 300 ადამიანის შემოსავალი, საშუალოდ, 54%-ით გაიზარდა. ყველაზე მოწყვლადმა 40-მა პირმა მიიღო თვითუზრუნველყოფის გრანტი, საკვებთან დაკავშირებულ პრობლემებთან გასამკლავებლად.

ჩვენმა პროექტმა ყურადღება სასოფლო სამეურნეო სავარგულების მორწყვის პრობლემასაც მიაპყრო. ლტოლვილთა დანიის საბჭომ, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტომ - საქართველოს სახელმწიფო შპს „საქართველოს მელიორაციასთან" ერთად მოახდინეს 150 ჰექტრის სარწყავი სისტემის მოდერნიზაცია, რითაც სოფლის მცხოვრებთა წინაშე აგრობიზნესის ახალი შესაძლებლობები გადაიშალა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა, იმისათვის, რომ საქართველო გახდეს დემოკრატიული და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, კიდევ ბევრი ნაბიჯი უნდა გადაიდგას, რაც მთლიანად რეგიონზე დადებით გავლენას მოახდენს. იმისათვის, რომ დავეხმაროთ გაჭირვებულ მოსახლეობას, ლტოლვილთა დანიის საბჭო გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოში მომუშავე დონორებთან, სამთავრობო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და, ცხადია, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტით დაზარალებულ პირებთან და მასპინძელ თემებთან. წარმატების მისაღწევად, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ისეთ საკითხზებზე, როგორიცაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, საარსებო წყაროებზე წვდომის გაუმჯობესება, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, იურიდიული დახმარება და ტექნიკური მხარდაჭერა.

# ERGNETI, 2008
# ერგნეთი

## 01 LIVELIHOODS
## საარსებო წყაროები

As a result of the SDC/DRC support 72 businesses are functioning in the village
ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დახმარებით სოფელში 72 ბიზნესი ფუნქციონირებს

## 02 HOUSING
## საცხოვრებელი

111 families have newly rehabilitated houses
111 ოჯახის სახლს ჩაუტარდა რეაბილიტაცია

## 03 IRRIGATION
## ირიგაცია

A new 1.3 kilometre irrigation system supplies water to 150 ha of land
1.3 კილომეტრი სიგრძის ახალი საირიგიაციო სისტემა წყლით
150 ჰექტარ მიწას ამარაგებს

2015

# 01 LIVELIHOODS
# საარსებო წყაროები

## Beekeeping

## მეფუტკრეობა

**Merab Beruashvili** (68) is a native of Ergneti whose house – like many others – was severely damaged during the war. He decided to return and, with SDC/DRC's support was able to launch a beekeeping business. Merab remains optimistic: "Although our village was destroyed during the war with Russia, we have returned and continue building our and our children's' future", he says. With the Swiss Government's assistance, Merab was able to produce 40% more honey in 2014 and used the income to purchase more beehives and expand the business.

ერგნეთის 68 წლის მკვიდრის **მერაბ ბერუაშვილის** სახლი, სხვა ბევრ სახლთან ერთად 2008 წლის ომის დროს მძიმედ დაზიანდა. მიუხედავად ამისა, მერაბმა მაინც გადაწყვიტა ერგნეთში დაბრუნება და ლტოლვილთა დანიის საბჭოს და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს დახმარებით, მეფუტკრეობის ბიზნესს მოკიდა ხელი. იგი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს: „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ომის დროს ჩვენი სოფელი მთლიანად განადგურდა, ჩვენ დავბრუნდით და ვაშენებთ ჩვენს და ჩვენი შვილების მომავალს" – ამბობს ბატონი მერაბი. 2014 წელს, შვეიცარიის მთავრობის დახმარებით, მან თაფლის წარმოება 40%-ით გაზარდა, მიღებული შემოსავალი კი ახალი სკების შეძენას და საქმის გაფართოებას მოახმარა.

# Poultry production

## მეფრინველეობა

**Natela Purichamiashvili** (75) lives only few metres from the ABL, together with a teenage grand-daughter. With SDC/DRC aid, Natela launched a small poultry production business and built space for hens, geese and turkeys – selling products into the local market. Having gone through many hardships, including the 2008 war, she retains her optimism: "With the income I earn now from my work, I have food on the table, can buy medicine and support my daughter's family".

75 წლის **ნათელა პურიჭამიაშვილი** ადმინისტრაციული გამყოფი ხაზიდან სულ რამდენიმე მეტრში ცხოვრობს სკოლის მოსწავლე შვილიშვილთან ერთად. დანიის ლტოლვილთა საბჭოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დახმარებით, ქალბატონმა ნათელამ მეფრინველეობის მცირე ბიზნესი წამოიწყო და ქათმების, ბატებისა და ინდაურებისთვის მცირე სადგომი ააშენა. მრავალი გაჭირვების, მათ შორის ნამდვილი ომის გამოვლის შემდეგაც, ქალბატონი ნათელა ოპტიმიზმს ინარჩუნებს: „ჩემი შრომით მიღებული შეომსავლით მაქვს საკვები, შემიძლია ვიყიდო წამლები და დავეხმარო ჩემი ქალიშვილის ოჯახს," – ამბობს იგი.

## Horticulture

### მებაღეობა

"DRC staff saw potential in my agricultural experience and now we have this small tomato growing business", says **Maia Nadiradze** (47) "By planting 15,000 tomato seeds we had a very good harvest last year and we are relatively successful. We are also able to save money for a better future of our children by paying their university tuition fees " she added.

„ლტოლვილთა დანიის საბჭომ ჩემს სასოფლო სამეურნეო გამოცდილებაში დაინახა პოტენციალი და ახლა გვაქვს პომიდვრის ეს მცირე ბიზნესი," – ამბობს ერგნეთის მკვიდრი, 47 წლის **მაია ნადირაძე**. „პომიდვრის15,000 ძირის დარგვის შედეგად კარგი მოსავალი მივიღეთ. შევძელით ცოტაოდენი ფულის დაგროვება, რითაც ჩვენი შვილების უნივერსიტეტში სწავლის გადასახადიც გადავიხადეთ," – დასძინა მან.

## Construction tools

### სამუშაო ხელსაწყოები

"Jobs remain scarce in Ergneti" says **Amiran Darbuashvili** (58), "So I decided to use my experience to fix roofs and applied for a grant". An SDC/DRC grant enabled Amiran to purchase specialised roofing tools for roof repairs and now he has regular roofing work.

„ერგნეთში სამსახური ჭირს" – ამბობს 58 წლის **ამირან დარბუაშვილი** – „ამიტომაც გადავწყვიტე გამომეყენებინა ჩემი გამოცდილება, დავიწყე სახურავების შეკეთება და გრანტზე განცხადება შევიტანე." გრანტმა ამირანს სპეციალური ხელსაწყოების შეძენის საშუალება მისცა. დღეს მას სტაბილური სამუშაო აქვს.

## Agricultural machinery

## სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

"It was very important for us to have a little tractor. I have plots of maize, various crops as well as apple orchards and it helps me a lot", says **Shurman Kasradze** (68).

„პატარა ტრაქტორის შეძენა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე მაქვს სიმინდის, სხვადასხვა მარცვლეულის მინდვრები და ვაშლის ბაღები, რის მოვლაშიც ტრაქტორი ძალიან მეხმარება" – ამბობს 68 წლის ერგნეთელი **შურმან კასრაძე**.

## Poultry production

### მეფრინველეობა

**Nanuli Doijashvili** (73) is an extremely pro-active Ergneti native with an entrepreneurial spirit. With a 2014 grant, she bought chickens, turkeys and hens. “The whole season I was collecting eggs and recently I took them to an incubator. Now I have 40 young chickens, says Nanuli “also I sold two turkeys and bought two piglets”, she added.

73 წლის **ნანული დოიჯაშვილი** აქტიური ერგნეთელია. 2014 წელს მიღებული გრანტით მან ქათმები, ინდაურები და წიწილები შეიძინა.
ნანული დოიჯაშვილი: „მთელი წელი კვერცხებს ვაგროვებდი. ცოტა ხნის წინ ინკუბატორში მივიტანე და დღეს 40 წიწილა მყავს. ასევე გავყიდე ინდაურები და ვიყიდე ორი გოჭი.“

# Agricultural machinery

## სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

**Durmishkhan Mamisashvili's** (53) house was completely burnt down during the 2008 Georgian-Russian war. Having rebuilt the house himself, Mr Mamisashvili is now focused on fruit and arable farming. "With SDC/DRC's help, I bought seeding equipment for the tractor. It helps me to save time and resources: doing the work of three days and 10 people in just an hour", he says. 2014 was a success for Durmishkhan – he made a good profit – most of which he reinvested into the business.

53 წლის **დურმიშხან მამისაშვილის** სახლი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად მთლიანად დაიწვა. სახლის საკუთარი ძალებით აღდგენის შემდეგ, მან ხილის და სხვადასხვა მარცვლეული კულტურის მოყვანას დაიწყო. „ლტოლვილთა დანიის საბჭოს და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს დახმარებით ტრაქტორისთვის სათესი მოწყობილობა შევიძინე. მოწყობილობა მეხმარება დროის და რესურსების დაზოგვაში – რასაც ადრე 10 ადამიანის შრომა და სამი დღე ჭირდებოდა, დღეს ერთი საათი ყოფნის" – ამბობს ბატონი დურმიშხანი. 2014 წელი მისთვის წარმატებული და მომგებიანი აღმოჩნდა. მოგების რეინვესტირება ბენეფიციარმა კვლავ წარმოებაში მოახდინა.

## Dairy production

### ყველის წარმოება

A SDC/DRC grant enabled **Zhuzhuna Jokhadze** (62) to buy a second cow and increase her income by up to 200 GEL a month by selling cheese in Gori. Her house – heavily damaged during the war – was also rehabilitated by DRC. “My son has just got married. We have enough space now for a new family. Without the rehabilitation none of that would have been possible”, says Zhuzhuna.

მიღებულმა გრანტმა 62 წლის **ჟუჟუნა ჯოხაძეს** მეორე ძროხის შეძენის შესაძლებლობა მისცა. წარმოებულ ყველის გორში გაყიდვით, ქალბატონ ჟუჟუნას შემოსავალი თვეში 200 ლარით გაეზარდა. ომის შედეგად მძიმედ დაზიანებულ მის სახლს, ლტოლვილთა დანიის საბჭომ რეაბილიტაციაც ჩუტარა. „ჩემმა ვაჟმა სულ ახლახანს ოჯახი შექმნა. საბედნიეროდ, ახალი ოჯახისთვის საკმარისი ადგილი გვაქვს. რეაბილიტაციის გარეშე ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა“, გვითხრა მან.

# Pig breeding

## მეღორეობა

**Temuri Tsereteli** (53) is placing hopes on a recently launched pig farm. With SDC/DRC support, Mr Tsereteli was able to construct a pig sty and buy a sow, hoping to invest income into expanding the undertaking. “There are not so many pig farms in our community. This business allows me and my family to live a more or less decent life,” he says.

53 წლის **თემურ წერეთელს**, მეღორეობის ახლად-გახსნილი მცირე ფერმის დიდი იმედი აქვს. მიღებული გრანტის დახმარებით, ბატონმა თემურმა ღორებისთვის სპეციალური სადგომის აშენება და დედა ღორის შეძენა შეძლო. იგი შემდგომი გაფართოების გეგმებსაც აწყობს: „ჩვენს მხარეში ღორის ფერმა ცოტაა. ეს ბიზნესი მე და ჩემს ოჯახს მეტ-ნაკლებად ღირსეული ცხოვრების საშუალებას მოგვცემს.“

# Agricultural machinery

## სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

With a grant, **Pavle Kasradze** (52) – a small farmer, bought an agricultural sprayer. “Growing fruits and vegetables is our main source of income. To protect the harvest from disease it is necessary to spray it throughout the whole season. Since there were not many people with the equipment and because of the high demand we had to queue up for our turn to use the spraying services which wasn’t convenient. “Now with the apparatus I can take care of not only my own harvest but also help my neighbours”, says Pavle.

გრანტის დახმარებით 52 წლის ერგნეთის მკვიდრმა **პავლე კასრაძემ** შესაწამლი მოწყობილობა შეიძინა. პავლე კასრაძე: „ხილის და ბოსტნეულის მოყვანა ჩვენი შემოსავლის მთავარი წყაროა. დაავადებებისგან დასაცავად, მცენარეების შეწამვლაა მთელი წლის განმავლობაშია აუცილებელი. რადგან ასეთი აპარატი ჩვენში მხოლოს ცოტას აქვს, გვიწევდა რიგის დაკავება რაც მოუხერხებელი იყო. ახლა შემიძლია არა მხოლოდ ჩემს მოსავალს მივხედო, არამედ მეზობლებსაც დავეხმარო.“

# Agricultural machinery

## სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

"I was so happy to be able to afford to buy new parts for my tractor to cultivate my land. I have new hope," says **Nodar Kasradze** (61) a farmer from Ergneti. In 2013, he received a grant from SDC/DRC and bought a plough. He adds: "Our main welfare depends on how we can cultivate the land and what we can harvest. Today, I can cultivate land on time. The cost is reduced as I only need to pay for a tank of fuel to use the tractor and even help my neighbours which brings me some income as well". Nodar harvests beans, corn, tomatoes and onions.

„მიწის დასამუშავებლად ჩემი ტრაქტორისთვის ახალი ნაწილების ყიდვის შესაძლებლობამ ძალიან გამახარა. მომავლის იმედი გამიჩნდა" ამბობს 61 წლის ფერმერი **ნოდარ კასრაძე**. 2013 წელს მიღებული გრანტით მან მექანიზებული გუთანი შეიძინა.

„ჩვენი კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დავამუშავებთ მიწას და ავიღებთ მოსავალს. დღეს შემიძლია მიწა დროზე დავამუშაო. დამუშავების ღირებულება შემიმცირდა, რადგან ფული მხოლოდ საწვავში მეხარჯება. ასევე შემიძლია მეზობლების დახმარება, რაც დამატებით შემოსავალს მაძლევს" – დასძინა ბატონმა ნოდარმა, რომელსაც ძირითადად სიმინდი, ლობიო, პომიდორი და ხახვი მოჰყავს.

## Livestock breeding

## მესაქონლეობა

**Giorgi Kasradze** (25) is a passionate local entrepreneur. With a grant in 2013 he successfully expanded his small business of buying, growing and selling calves. Mr. Kasradze's business is one of the 72 small businesses launched in recent years through the SDC/DRC-funded project.

25 წლის **გიორგი კასრაძე** ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა ერგნეთელი მეწარმეა. 2013 წელს მიღებული გრანტით, მან ხბოების ყიდვის, გაზრდისა და გაყიდვის ბიზნესი დაიწყო. გიორგის ბიზნესი ერთ-ერთია იმათგან, რომლებიც დანიის ლტოლვილთა საბჭოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური დახმარებით ბოლო წლების განმავლობაში დაიწყო.

## Horticulture

### მებაღეობა

With a grant received in 2012 **Gogutsa Jokhadze** (70) expanded a small raspberry growing business by planting 1,500 additional plants. In two years time the volume of production increased by 300 kg. “I still expect to increase production of raspberries as plants are growing and each year giving larger harvests”, says Mr. Jokhadze, “I hope I will also be able to hire more villagers to help me to pick the raspberries”, she adds.

2012 წელს მიღებული გრანტით, ერგნეთის 70 წლის მკვიდრმა **გოგუცა ჯოხაძემ** ჟოლოს მცირე პლანტაციის 1,500 ძირით გაფართოება შეძლო. ორ წელიწადში წარმოების მოცულობა 300კგ-ით გაიზარდა.
„ვფიქრობ, რომ წარმოება კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მცენარეების ზრდასთან ერთად მოსავალის რაოდენობაც იზრდება. ასევე იმედი მაქვს შევძლებ მოსავლის ასაღებად უფრო მეტი ადგილობრივი მკვიდრი დაქირავებას“ – ამბობს ქალბატონი გოგუცა.

## Dairy production

### ყველის მცირე წარმოება

**Mariam Topchishvili** (49) was forced to take the role of the sole breadwinner for her family, following her husband's death. With SDC/DRC's help she started a tiny, yet successful cheese making undertaking and managed to improve her livelihood. "I am making three kg of Georgian cheese daily from my two cows and sell it to my neighbours. This income is very important for me," says Mariam.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ 49 წლის **მარიამ თოფჩიშვილი** საკუთარი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი გახდა. მიღებული გრანტით, ქალბატონმა მარიამმა ყველის წარმოების მცირე, მაგრამ წარმატებული ბიზნესი წამოიწყო. მარიამ თოფჩიშვილი: „დღეში სამ კილოგრამ ქართულ ყველს ვაკეთებ ჩემი ორი ძროხის რძისგან და მეზობლებში ვყიდი. ეს შემოსავალი ჩემთვის ძალიან მნიშვნლოვანია."

# Floriculture

## მეყვავილეობა

**Tsaro Doijashvili** (65) grows red Georgian roses – up to 600 plants at any given time. Ms Doiashvili received a grant in 2012. “Roses require a lot of care. My roses are good quality, but sometimes it gets hard as most florists buy roses at 0,20 GEL per flower”, says Tsaro.

65 წლის **ცარო დოიჯაშვილს** ქართული ვარდების მცირე პლანტაცია აქვს – მოცემულ მომენტში 600 მცენარემდე. მან გრანტი 2012 წელს მიღო. მისი თქმით, „ვარდებს ბევრი მოვლა ჭირდება. ჩემი ვარდები კარგი ხარისხისაა, მაგრამ მიჭირს ბიზნესის წარმოაება, რადგან ყვავილების მაღაზიები მხოლოთ 20 თეთრად იბარებენ“ – აღნიშნავს ქალბატონი ცარო.

## Beekeeping

## მეფუტკრეობა

Apple orchards and linden trees are typical of the Shida Kartli region, offering a perfect environment for bee keeping. **Otar Dvalishvili** (25), is the youngest business owner and one of six beekeepers in Ergneti. Otar bought five beehives with SDC/DRC's support at the end of 2014. "I hope to reach my target production level of 15-20 kg honey from each beehive and generate income of 1,500 GEL per season", says Otar, hoping to offer high quality and competitive prices to local consumers.

მეფუტკრეობისთვის იდეალური ვაშლის ბაღები და ცაცხვის ხეები შიდა ქართლის რეგიონისთვის ტიპიურია. 25 წლის **ოთარ დვალიშვილი** სოფლის ყველაზე ახალგაზრდა მეწარმე და ერგნეთში მომუშავე ექვსი მეფუტკრიდან ერთ-ერთია. 2014 წელს მიღებული გრანტის დახმარებით ოთარმა ხუთი სკა შეიძინა. „იმედი მაქვს მივაღწიო ერთი სკიდან 15-20კგ თაფლის წარმოების მაჩვენებელს და სეზონზე 1,500 ლარის შემოსავალი მივიღო" – ამბობს ოთარი რომელიც ადგილობრივი მომხმარებლებისთვის კონკურენტული ფასების შეთავაზებას აპირებს.

# Sewing workshop

## სამკერვალო

**Leila Kasradze** (53), **Nineli Romelashvili** (49) and **Eter Kasradze** (54) applied for individual grants in 2012 to launch a joint sewing business. They first opened a workshop in an emergency cottage built by DRC in 2008 but moved it to Leila's house which was rehabilitated by SDC/DRC in 2013. The grant allowed for purchase of core assets such as sewing machines, irons and various raw materials. Today, the three beneficiaries are producing bed linen and curtains which are sold in Gori, Surami and Bakuriani markets.

ერგნეთის მკვიდრმა სამმა ქალბატონმა – **ლეილა კასრაძემ, ნინელი რომელაშვილმა** და **ეთერ კასრაძემ** ინდივიდუალურ გრანტებზე ერთობლივი ბიზნეს-ინიციატივის დასაფინანსებლად, ლტოლვილთა დანიის საბჭოს 2012 წელს მიმართეს. მათ პირველი სამკერვალო ორგანიზაციის მიერ აშენებულ კოტეჯში 2008 წელს გახსნეს, 2013 წელს კი ლეილა კასრაძის სახლში გადაინაცვლეს, რომელიც ასევე ლტოლვილთა დანიის საბჭომ აღადგინა. გრანტმა ამ სამ ქალბატონს საშუალება მისცა შეეძინა ბიზნესის წარმოებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საშუალებები, როგორიცაა საკერავი მანქანები, უთოები და სამუშაო ნედლეული. დღეს, მოცემული სამი ბენეფიციარი კერავს საწოლის თეთრეულს და ფარდებს, რომლებსაც ისინი გორის, სურამის და ბაკურიანის ბაზრებში ყიდიან.

## Small manufacturing and trading

## მცირე წარმოება

**Viktor Kasradze** (67) is a professional welder having 20 years of experience. He received funding for buying new welding machinery and equipment. Now he manufactures and sells irrigation tubes, pipes and other irrigation equipment in Gori market.

67 წლის **ვიქტორ კასრაძე** პროფესიონალი შემდუ-ღებელია მუშაობის 20 წლიანი გამოცდილებით. მან გრანტი ახალი შესადუღებელი აღჭურვილობის შესაძენად მიიღო. დღეს ის იგი საკუთარ ნაწარმს, მათ შორის, მილებს და ირიგაციისთვის საჭირო სხვადასხვა დეტალს გორის ბაზარში ყიდის.

## Carpentry

### სადურგლო საქმე

**Giorgi Kasradze** (59) received a grant in 2014. The grant enabled him to acquire equipment and start a window and door production workshop. “A combination of housing and livelihood support for us is vital to achieving dignified living,” says Giorgi. “Today, thanks to your help I have rehabilitated my house and have an income”, he adds.

2014 წელს მიღებული გრანტით 59 წლის **გიორგი კასრაძემ** ერგნეთში ხის კარ-ფანჯრების საამქრო გახსნა. „დღეისათვის, მიღებული გრანტის დახმარებით უკვე აღვადგინე საკუთარი სახლი და ასევე დამატებითი შემოსავალიც მაქვს“ – ამბობს გიორგი.

## Dairy production

### ყველის მცირე წარმოება

**Mzia Inauri** lost her son during the 2008 war. Since then Mzia has gone through many hardship mainly relying on her state pension. SDC/DRC provided a self-reliance grant and she bought a cow. This means Ms Inauri no longer has to rely solely on her pension.

**მზია ინაურმა** ვაჟიშვილი 2008 წლის ომში დაკარგა. მას შემდეგ, ქალბატონი მზიას ერთადერთი შემოსავალი პენსია იყო. ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის საგენტოს მიერ გამოყოფილი თვით უზრუნველყოფის გრანტით, მან ძროხა შეიძინა და მხოლოდ პენსიაზე აღარაა დამოკიდებული.

## Construction tools

### სამუშაო ხელსაწყოები

As many other locals **Kakhaber Kasradze** (40) has not only lost his house during the Georgian-Russian war of 2008 but all his assets and thus his livelihood. He applied for a grant and replaced the construction tools he had lost. “Construction companies used to hire me during the rehabilitation process of the houses in the village. Now the project is over I have less work and I am thinking about new ways of earning an income, says Kakha”.

მრავალი ერგნეთელის მსგავსად, 2008 წელს 40 წლის **კახაბერ კასრაძემ**, სახლის გარდა, მთლიანი ქონება და შემოსავლის ყველა წყაროც დაკარგა. გრანტის საშუალებით ბატონმა კახაბერმა სხვადასხვა სამშენებლო ინსტრუმენტი შეიძინა.
„სოფელში სახლების რეაბილიტაციისას, სამშენებლო კომპანიები მქირაობდნენ. ახლა, როცა პროექტი დასრულდა, ნაკლები სამუშაო მაქვს და ვფიქრობ შემოსავლის მიღების ახალი გზების მოძიებაზე“ – ამბობს იგი.

## Welding workshop

### ღობეების და სახურავების შეკეთება

**Vakhtang Darbuashvili** (42) is married and has two teenagers. He is known in the village for making fences and roofs. “After the war of 2008 I couldn’t work as all my assets had been stolen. A grant helped me to buy a welding machine and now, in addition to my orchard, I have this small business”, says Vahktang.

ერგნეთის მკვიდრი **ვახტანგ დარბუაშვილი** 42 წლისაა, ყავს მეუღლე და ორი მოზარდი შვილი. სოფელში იგი ღობეების და სახურავების შეკეთებითაა ცნობილი.
„2008 წლის ომის შემდეგ მუშაობა აღარ შემეძლო, რადგან მთელი ჩემი ქონება წაიღეს. გრანტის წყალობით შევიძინე ელექტროშედუღების აპარატი. დღეს ჩემი სავარგულის გარდა, შემოსავლის ეს წყაროც მაქვს“ – ამბობს ვახტანგი.

## Givi Tsereteli family

"Thanks to SDC/DRC support we have a new house now. We were lucky to move in and the children are happy and proud. Now we can start thinking about ways to find employment opportunities and reliable sources of income" says Givi.

## გივი წერეთლის ოჯახი

„ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დახმარების შედეგად, დღეს ჩემს ოჯახს ახალი სახლი აქვს. ბედნიერები ვართ, რომ უკვე შეგვიძლია იქ ცხოვრება – ბავშვებსაც ძალიან უხარიათ და ამაყობენ. ახლა, როცა თავს ზემოთ ჭერი გვაქვს, შეგვიძლია დასაქმების შესაძლებლობებზე და სტაბილურ შემოსავალზეც ვიფიქროთ“ – გივი წერეთელი.

## Rehabilitated houses

## რეაბილიტირებული სახლები

As a result of SDC's financial support, DRC renovated 111 houses reaching more than 400 beneficiaries. The comprehensive rehabilitation works enabled people finally to move back into their homes.

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ლტოლვილთა დანიის საბჭომ ერგნეთში 111 სახლის რეაბილიტაცია მოახდინა, რამაც გავლენა 400-ზე მეტი ადამიანის ცხოვრებაზე იქონია. სრულფასოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, ომით დაზარალებულ პირებს საკუთარ სახლებში შესვლის და ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა მიეცათ.

## Newly built houses

## ახლადაშენებული სახლები

Some houses in the village were so severely damaged during the conflict that they were impossible to rehabilitate or reconstruct. Therefore the project built new houses for four families in Ergneti.

ომის შედეგად, ზოგიერთი სახლი იმდენად დაზიანდა, რომ აღდგენას ან რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა, ამიტომ პროექტის ფარგლებში, ოთხ ოჯახს ახალი სახლი აუშენდა.

# 03 IRRIGATION
# ირიგაცია

There are number of agricultural problems that local people still face. One of the biggest concerns in Ergneti village is the lack of access to irrigation water – critical for agriculture in the region. With the financial support of SDC, DRC together with Georgian Amelioration Ltd improved access to irrigation water to agricultural land plots. SDC/DRC in partnership with Georgian Amelioration Ltd, has installed a new 1.3 km irrigation system comprising 310 mm irrigation pipe. This will provide irrigation to 150 hectares of land. This is enabling GA Ltd. to install a further 1.2 km of pipe. Once the GA Ltd. component is complete irrigation water will be supplied to all 230 hectares of Ergneti's agricultural lands.

ერგნეთის მაცხოვრებლებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა აქვს. როგორც ერგნეთისთვის, ასევე მთლიანი რეგიონისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა სავარგულების მორწყვა. შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტომ და ლტოლვილთა დანიის საბჭომ შპს. საქართველოს მელიორაციასთან თანამშრომლობით, მოაწყო 1,3 კმ სიგრძის საირიგაციო სისტემა, რომელიც შედგება 310 მმ სიგანის სარწყავი მილისგან. სისტემა უზრუნველყოფს 150 ჰა მიწის მორწყვას. საირიგაციო პროექტი ასევე შესაძებლობას აძლევს შპს. საქართველოს მელიორაციას ასევე დამატებით გაიყვანს 1,2 კმ სიგრძის სარწყავი მილი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ერგნეთის სასოფლო-სამეურნეო მიწების 230 ჰა უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი წყლით.

**GET IN TOUCH**
საკონტაქტო ინფორმაცია

**Swiss Cooperation Office for the South Caucasus**
12, Radiani Street
0179 Tbilisi Georgia
Tel: +995 322 25 36 82 / 83
Email: tbilisi@eda.admin.ch
Web-Site: www.swisscoop.ge
Facebook: www.facebook.com/SwissCooperationSouthCaucasus

**Danish Refugee Council**
Paliashvili 88, 0162 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2230217
Email: drc@drc-sc.org
Web-site: www.drc.dk
facebook.com/danishrefugeecouncil
vimeo.com/refugees
flickr.com/photos/danishrefugeecouncil